ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №80881

ნომერი: AR130126

თარიღი : 14.03.2012

გაცემის თარიღი : 14.03.2012

გაცნობის თარიღი : 05.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ გოგოლაშვილი პ/ნ 01024031827
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 65

ორგანიზაცია:
- სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო" კოდი: 202359009

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

საპროექტო ობიექტის ფუნქცია: – არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია ("აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველო"- ს თბილისის ფილიალის სათაო ოფისი)

ფუნქცია – საზოგადოებრივი;

მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი (საკადასტრო გეგმა) – #01.10.13.041.030;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1398 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) ;

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა:
საზოგადოებრივ –საქმიანი ზონა (სსზ–2) შემდეგი კოეფიციენტებით:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=4,6;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0,1;

მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობა:
სსზ2 – საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი;

შენიშვნა:
- შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია განხორციელდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"–ს მუხლი–34 მიხედვით;
- შენობის მიწქისქვეშა სივრცის გამოყენება მოხდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
- დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
– ღია ავტოსადგომი მოეწყოს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრების ფარგლებში.

პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს:
– ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტის რეკვიზიტების მითითებით;
– საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; გადატანის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან;

მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს
– მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
– საინფორმაციო დაფის (ბანერის) ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მხოლოდ უნდა მოიცავდეს მშენებლობის განხორციელების გრაფიკს მშენებლობის ეტაპების ხანგძლივობისგათვალისწინებით);
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გადახდილი საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით).

მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია:
- მიშენების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობის და მიწის ნაკვეთის კვლევა;
- საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- საპროექტო შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი ობიექტის კლასიდან გამომდინარე;

- ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს;
- შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები. ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;

არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს:
- ფანჯრების, ფრამუგებისა და კარის სპეციფიკაცია;
- დამცავი საშუალებების (ჟალუზების და გისოსების ერთიანი გადაწყვეტა მოხდეს შენობის ინტერიერის შიდა სივრცეში) განთავსება მოხდეს შიდა მხრიდან;
- შენობის სახურავის გეგმა (საკადასტრო საზღვრის პროექციის ჩვენებით);
- შენობა-ნაგებობის ფასადები, ჭრილები, გეგმები;
- გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს პანდუსი უნარშეზღუდულ პირთა ეტლის გადასაადგილებლად და გამოიყოს ადგილი სანაგვე ყუთის განსათავსებლად;

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად.
წინამდებარე მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2009 წლის 17 აპრილიდან კოეფიციენტების ანგარიში ხდება ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 15, 16, 17-ის შესაბამისად ;
არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა წარმოდგენილი უნდა იქნეს ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მუხლი 47-ის შესაბამისად:

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება **№ 2434636**

გაცემის თარიღი: 15/02/2016 გაცნობის თარიღი: 15/02/2016

განცხადების ნომერი: AR1378033

შემოსვლის თარიღი: 12/02/2016

შედეგი: თანხმობა

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.10.13.041.062
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N65-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , 67-ის მიმდებარედ. / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 65
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1674.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "კენ.კონსტრაქშენ" (405038418)

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლადო წერეთელი პ/ნ 01024018854
- მისამართი: თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 3

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12.02.2016 წ. #AR1378033 განცხადებით მომართა შპს „კენ.კონსტრაქშენი“-ს დირექტორმა ლადო წერეთელმა და მოითხოვა 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით #01.19.20.002.016 (4133 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2015 წ. #1739167 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.13.041.062 ფართობი – 1674 კვ.მ, რეგისტრაციის #882016058630), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.13.041.062 ფართობი – 1674 კვ.მ, რეგისტრაციის #882016058630);

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-1674 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.10.13.041.062;

3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დანართის სახით დაემატოს სქემატური ნახაზი, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დატანით;

4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნები:

- „დაცული იქნეს ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება შეზღუდვის შესახებ (დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე) ან მოხსნის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს განახლებული ამონაწერი“;

- „დაცული იქნას ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას“;

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაში დაფიქსირდეს: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1);

- პირობებს დაემატოს საზოგადოებრივ – საქმიანი ზონა (სსზ–1) შემდეგი კოეფიციენტებით: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,7;

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=3,5;

- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0,1;

- „დაცული იქნას მიწის ნაკვეთზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი“;

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.03.2012 წ. #80881 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2015 წ. #1739167 ბრძანებასთან ერთად;

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.10.13.041.062**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016082277 - 16/02/2016 10:12:26

მომზადების თარიღი
16/02/2016 12:21:22

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**13**	**041/062**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N65-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , 67-ის მიმდებარედ. / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 65

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 1674.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **01.10.13.041.057; 01.10.13.041.059; 01.10.13.041.021; 01.10.13.041.019; 01.10.13.041.030; 01.10.13.041.058;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 3031.80 კვ.მ. N2, N3, N4, N5

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016058630 , თარიღი 04/02/2016 17:00:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/07/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა , N3973 , გაფორმების თარიღი:25/12/2015 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) , Nე-285-13-17139 , გაფორმების თარიღი:13/11/2015 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- გადაწყვეტილება N2394989 , დამოწმების თარიღი:21/01/2016 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:16/01/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , N150165508 , გაფორმების თარიღი:20/02/2015 ,ნოტარიუსი ნ. შოშიაშვილი
- პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება , Nე-285-13-17139 , გაფორმების თარიღი:18/11/2015 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "კენ.კონსტრაქშენ", ID ნომერი:405038418

მესაკუთრე:
შპს "კენ.კონსტრაქშენ"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882015393666 თარიღი 14/07/2015 14:28:21	**გამყიდველი: სახელმწიფო;** **მყიდველი: შპს "კენ.კონსტრაქშენ"** 405038418; საგანი:ფართი 41 კვ.მ; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით (მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები და შემღუდვები) ; ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/07/2015	**ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/07/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882015393678 თარიღი 14/07/2015 14:30:24	**გამყიდველი: სახელმწიფო;** **მყიდველი: შპს "კენ.კონსტრაქშენ"** 405038418; საგანი:ფართი 42.00 კვ.მ; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით (მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები და შემღუდვები) ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/07/2015	**ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/07/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, ავრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.13.041.062**

განცხადების ნომერი: **882016058630**

მომზადების თარიღი: **04/02/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **1674 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.13.041.062**

განცხადების ნომერი: **882016058630**

მომზადების თარიღი: **04/02/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **1674 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება